



# აკათისტო ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატისა „შენ ხარ ვენახი“

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული და თავით თვსით მზე ხარ გაბრწყინებული.

## იკოსი 1

მთავარი ანგელოსთად გაბრიელ ზეცით მოივლინა მოხილვად უკუეთუ აღყუავნა ვენახი და მხილველმან ქალწულისამან უწინარეს მოკითხვისა და გიხაროდენისა სთქუა ესევეითარნი: ვინ არს ესე, რომელ ჰბრწყინავს, ვითარცა ცისკარი, შუენიერ, ვითარცა მთოვარე, რჩეულ, ვითარცა მზე, საკვრველ, ვითარცა განწესებულნი. სახარულევანსა ანგელოსისასა ჩუენცა მიურთვიდეთ ესევეითართა:

გიხაროდენ, მავენახებელო მწუერვალთა შენთაო;  
გიხაროდენ, ვენახო რქაკეთილო, ნაყოფითა კეთილცენებულო;  
გიხაროდენ, ვენახო გაშენებულო, ნოესაგან წინათმოსწავებულო;  
გიხაროდენ, ვენახო კეთილო გულისსათქმელო ყოველთა ქრისტიანეთაო;  
გიხაროდენ, ვენახო დანერგულო მათათა შინა მამისა მიერ;  
გიხაროდენ, ვენახო აღყუავებული მომცემელო სულნელებისაო;  
გიხაროდენ, ვენახო ჭემმარიტო, თავწარსხმულისა ტევანისა გამომღებელო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 1

დიდებულებანი წმიდისა ხატისა შენისად, ქალწულო, ვინ-მე მიუთხრნეს, რამეთუ აღმოსდის საკვრველებანი და აღმოგვიცენებს კურნებათა და

დამოგვწვევებს მირონსა და წყალსა კეთილსურნელსა მგალობელთა მისთა: ალილუია.

## იკოსი 2

იხარებდინ ცანი ღმრთისმშობელისათანა და იშუებდინ ქუეყანა და თაყუანის-ცემდით მას ყოველნი ძენი ღმრთისანი, რომელსა მთავარი ანგელოსთად გაბრიელ, წინამდგომი ღმრთისა, წარმოუდგა გალობად ესევეითართა:

გიხაროდენ, **ყურძენო** სულმწიფეო, უდაბნოსა ზედა მოპოებულო;  
გიხაროდენ, ვენახო შუენიერო, ნაყოფისა შენისა მიერ შეცნობილო;  
გიხაროდენ, ვენახო კეთილჩრდილფურცელოვანო, რომლისა ქუეშე კერძო დაიგრილებენ მრავალნი;  
გიხაროდენ, ვენახო ახლადაღყუავებულო, რომლისაგან არასადა მიეღების შუებად და სიხარული;  
გიხაროდენ, ყურძნის ტევნისა ღვთიური სახიერების საწნებელში დამდებელო;  
გიხაროდენ, ვენახო კეთილ გამომღებელო ტევანსა ტკბილსა, რომელმან გვწდია ღვინოდ საღმრთო მახარებელი გულთა;  
გიხაროდენ, ყურძნისა მწიფისა მანგლითა მოწყალებისათა მომსთლუელო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 2

გარდამოიხილე ჩუენ ზედა მოწყალითა თუალითა, მოწყალისა დედაო, და შეგვიწყალენ, რომელნიცა მოსრულ-ვართ წინაშე ხატისა შენისა და რომელნი იცხებენ ზეთსა შენისა კანდელისაგან, სცხე მათ საღმრთოდ წყალობად შენი, რათა ვგალობდეთ: ალილუია.

## იკოსი 3

ზამთარი წარხდა და წჷმად დასცხრა და წარვიდა გზასა თჷსსა. ლელუმან გამოიტევა გაგად თჷსი; ვენახნი ყუავიან, მოსცეს სულნელებად თჷსი. აწ აღვსდგე, იტყჷს უფალი, დავსდვა ცხორებად და განვსცხადნე მას ზედა, ვითარცა წერილ-არს თავთა წიგნთასა. მე პირისაგან მადლისა გამოვედ და, ვითარცა ნისლმან, დავფარე ქუეყანა. მე მაღალთა შინა დავემკვდრე და საყდარი ჩემი სუეტსა ღრუბლისასა. სიმრგულე ცისა მოვვლე მარტომან და სიღრმესა უფსკრულთასა ვიდოდე ღელვათა ზღვისათა, ყოველსა ქუეყანასა და ყოველსა ზედა ერსა და ნათესავსა მოვიგე, ამას შემდგომად განსასუენებელსა ვეძიებდ. ვისა განვისუენო? იტყვის სიტყუად მამისა.

გიხაროდენ ერთისა სამებისაგანისა განმასუენებელო;  
გიხაროდენ, ცათაგან დაუტევნელისა დამტევნელო;  
გიხაროდენ, მუცელსა შენსა სიტყვისა საღმრთოდსა შემწყნარებელო;  
გიხაროდენ, საწმისო ზეგარდამო ცისაგან დაცუარულო;  
გიხაროდენ, სულისა მიერ წმიდისა **დაწიდნულო** და მაცხოვრისა,  
ვითარცა ტევნისა სავსისა ნაყოფად გამომღებელო;  
გიხაროდენ, ვაზო დაუჭნობელო, რომელსა ზედა გამოუბამთ ზუარაკი ჭამებული;  
გიხაროდენ, ვენახო, რომლისაგან მოვისთულენით მაცხოვარებად;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

### კონდაკი 3

თუალთა სულიერითა დაბრმობილნი, შენდა მოვივლტით, ღმრთისმშობელო და წმიდისა ხატისა შენისა მომართ, ყოვლადწმიდაო, რომელი ეგე ხარ ნათელი უსაზღვრო და თუალთშეუდგამი დაბნელებულთა. განმინათლენ სულისა ჩუენისა თუალნი მსმობელთა: ალილუია.

### იკოსი 4

მისწვდნა რქანი შენნი, ვაზო ჭემმარიტისა ვენახისაო, ზღუადმდე და მასკნეთა შენთა მოიცვეს მთა წმიდად და ქუეყანა ივერთანი, წილხდომნი შენნი; ერთსა, მომავალთა დღეთა, განრყუნის ემჳ მალნარისა, ხოლო მეორესა აწვე მოჰყურძნიან თანაწარმავალნი: ბრანგვი ჩრდილოდთ და სხვანი დასავალით და უმზერენ სამხრითცა. გარდამოიხილე ზეცით, დედუფალო მარიამ, და იხილე და განიღვიძე საყუარელო დედაო ღმრთისაო და უთხარ ძესა შენსა და ღმერთსა შენსა: იხსენ ერი ქართველთანი, რათა გიგალობდნენ შენ ღმრთისმშობელო:

- გიხაროდენ, ბაბილოთა შენთა მიერ ღიბანისა ნაძუთა დამფარველო;
- გიხაროდენ, მშვიდობისა ნავთ-საყუდელო, ღელვათა შინა გუემულთაო;
- გიხაროდენ, შემოქმედისა დედაო, მისთა ქმნულებათა საფარუელო;
- გიხაროდენ, საღმრთოდესა წყალობისა მდინარეო და შენდობისა უვრცელესო უფსკრულო;
- გიხაროდენ, მწარისა ეშმაკისა სატანჯუელთაგან გამომხსნელო;
- გიხაროდენ, მახვილო ეშმაკთა მომწყუდელო;
- გიხაროდენ ღელესა ამას გლოვისასა მწუხარებათა ჩუენტა დამაცხრომელო;
- გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

### კონდაკი 4

შენ განწმედილსა პალატსა სამეუფოსა გევედრებით, ყოვლადწმიდაო, პალატსა შინა ზეცათასა დაგუამკვიდრენ მოსავნი შენნი და ფრთოვან-გუეყენ მადლითა, რათა მივიწივნეთ შენდა, მგალობელნი: ალილუია.

### იკოსი 5

მას დღესა შინა მოაწიოს უფალმან მახვილი წმიდად და დიდი და ძლიერი ვეშაპსა ზედა გუელსა მლტოლვარესა, ვეშაპსა ზედა გუელსა გულარძნილსა და მოკლას ვეშაპი მას დღესა ზღუასა შინა და დადგნენ ყოველნი ძალნი ცისანი, და წარიგრაგნოს ცად, ვითარცა წიგნი და ყოველნი ვარსკულავნი დამოცვივენ, ვითარცა ფურცელნი ვენახისანი და მოვიდეს ძე კაცისად განსჯად ყოველთა ცხოველთა და მკუდართა, რომლისათვისცა მეოხებასა შენსა შევედრებულნი გიგალობთ ესევითარად:

გიხაროდენ, ვენახო მოტირალო ჟამსა განსხვლისასა, ძეთა ზედა კაცთასა, ვითარცა ნასხლევეთა ცეცხლსა შინა გეენისასა შთაგზნებულთა;

- გიხაროდენ, ვენახო დაკოდილო, ვითარცა წინასწარმეტყუელა სჳმეონ;
- გიხაროდენ, რამეთუ მომიძიენ ცოდვილნი ვითარცა კუფხალი ნასთულეებსა შორის;

გიხაროდენ, მვედრებელთა შენტათვის საცხოვრებელთა თხოვათა აღმასრულებლო;  
გიხაროდენ, რქაშუენიერებითა შენითა მართლმადიდებლობისა რქისა აღმამაღლებლო;  
გიხაროდენ, სიწმინდითა შენითა სოდომელთა ნავლისა ყურძნისა და გომორელთა სიმწარისა ტევნისა შემარცხუნელო;  
გიხაროდენ, მონანულთა ცოდვილთასა [კაწახისა](#) ზეთისხილითა მწიფითა შემცუალებლო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 5

ჭირთა შინა და განსაცდელთა შეყენებული მოხედვასა შენსა და ზრუნვასა ღირს-მყუნ, ღმრთისმშობელო, ხატისა მიერ შენისა წმიდისა, და გვწყაროე ნიჭნი მადლისანი უხუებით, რათა უგალობდეთ ღმერთსა შენგან განხორციელებულსა: ალილუია.

## იკოსი 6

ეჰა, დღენი მოვლენან, - იტყვს უფალი, - და ეწიოს მღეწავი მსთულებელსა, და მომწიფდეს ყურძენი თესლსა შინა და დამოაწთონ მათთა სიკვბობაჲ და ყოველნი ბორცუნი ნერგოან იყუნენ. მას დღესა შინა, იტყვს უფალი ყოველისა მპყრობელი, - მოუწოდოს თითოეულმან მოყუასსა თვსსა ქუეშე კერძო ვენახისა და ქუეშე კერძო ლელვისა - და დედაჲ ჩუენი, ეკლესიაჲ, ვითარცა ვენახი, ვითარცა ყუავილი ბროწეულთა შორის წყალთა ზედა დანერგულთა; ნაყოფი მისი და მორჩი მისი იქმნა წყალთაგან მრავალთა. მას დღესა შინა, - იტყვს ძველი დღეთაჲ, - ვეყო მე ვითარცა ცუარი ახალსა ისრაელსა, აღყუავნეს, ვითარცა შროშანი, და განიბნეს ძირნი მისნი, ვითარცა ლიბანმან. ვიდოდიან რტონი მისნი, და იყოს, ვითარცა ზეთისხე ნაყოფიერი, და საყნოსი მისი, ვითარცა გუნდრუკი. მოიქცენ და დასხდნენ საფარუელსა ქუეშე მისსა და დასდგეს დედუფალი შორის მათსა, შემოსილი სამოსლითა ოქროქსოვილითა, შემკულ და შემოსილ პირად-პირადად ესევითარითა გიხაროდენითა: გიხაროდენ, ნაძვო შროშანო ამაღლებულო;

გიხაროდენ, ვენახო მოუუძღურებელო;  
გიხაროდენ, ვაზო მორჩისა სამისა ლერწისა გამომღებელო;  
სარწმუნობისა, სასოებისა და საღმრთოდსა სიყუარულისაო;  
გიხაროდენ, ვარსკვლავთა უბრწყინვალესო მარიამ, ვარდო ღუთივ-შუენიერო კეთილ-სუნნელო;  
გიხაროდენ, ვენახო აღყუავებულო მომცემელო სულნელებისაო;  
გიხაროდენ, რომელმან აღყუავილნე ყუავილი იგი დაუჭნობელი;  
გიხაროდენ, ვენახო საჩინოო, ძირისაგან იესესა აღმომორჩებულო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 6

საუნჯედ ყოველთა კეთილთა და გურნებათა უკურნებელთასა შენ გიცნობთ ყოველნი მორწმუნენი, ხატისა მიერ შენისა ახლადგამოწერილისა განმკურნენ სულით და ხორცით, მვედრებელნი: ალილუია.

## კონდაკი 7

შრომანად სუნნელად გიცნობთ, ძოწეულითა სულისა წმიდისათა ღებულად უხრწნელო, და ევალთა შორის გამობრწყინვებულად ღმრთისმშობელო, განმასუნნელებელად მგალობელთა ღმრთისადა: ალილუია.

## იკოსი 7

სავარდევო ღმრთივდანერგულო, და მტილო კეთილსუნნელო, ღმრთივნამუშაკვევისა უკვდავისა ყვავილისა აღმაყვავილებელად გამოსჩნდი ქალწულო. ამისთვის ერთხმობით გიხაროდენსა გიხმობთ შენ:

გიხაროდენ, სიხარულისა მომცემელო;  
გიხაროდენ, წყარო სიტკბოებისაო;  
გიხაროდენ, განმნედლებელო კუერთხისა აარონისაო, დაწერილო პირველვე, საიდუმლოდ;  
გიხაროდენ, სძალო უშრომელად უხრწნელებისა ტევანისა გამომღებელო;  
გიხაროდენ, მწდეველო ცოდვილთათვის სასუმელისა შენდობისაო;  
გიხაროდენ, ვენახო გონიერო ცხოვრების გამომღებელო ბაბილოო;  
გიხაროდენ, წმიდაო ქალწულო ღმრთისმშობელო, მორჩისა მუცლად ღებითა უთესლოდ, აღმომაყვავილებელო სოფლისადა კურთხევისაო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 8

სამოთხედ სუნნელებისად გამოსჩნდი ქალწულო გამომღებელად ყვავილთა, ყოვლად შვენიერთა, სასწაულთა და ნიშთასა, რომელთა მიერ სუნნელ ჰყოფ ყოველსა სოფელსა, მგალობელსა: ალილუია.

## იკოსი 8

საღმრთოდსა ძირისაგან აღმოსცენდი საღმრთო ყვავილი და გეწოდა შენ კიდობანი და სასანთლე, და საწმისი ოქროფეროვანი, და ტრაპეზი წმიდა, რომელსა პური ცხოვრებისა გაქუნდა. ამისთვისცა ვხმობთ შენდამო:

გიხაროდენ, კუერთხო აღყვავებულო, ვითარცა სახელგდვა შენ ესაია;  
გიხაროდენ, მეოხებითა შენითა, ღვინისა განმწმედელისა მომმადლებელო სულისა ჩემისათჳს;  
გიხაროდენ, ჭეშმარიტად ალაბასტრო მტკვრთველო მირონისა მის საღმრთოდსაო;  
გიხაროდენ, განმასუნნელებელო კიდეთა სოფლისათაო;  
გიხაროდენ, გამომღებელო ტევანსა მას დაუსხმელსა, რომელმან გვიწდია ღვინოდ ცხოვრებისა;  
გიხაროდენ, ქუეყანაო კეთილნაყოფიერო, რომელსა გაქუს ნაყოფი საიდუმლოდსა ხუვილისა, გამომზრდელი ყოვლისა სულისა;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 9

სუნნელება ნარდისა, ვარდი უხრწნელებისა, შუენიერება სუნნელთა, სანატრელო გამოგვიჩინდი ჩუენ, რომელმან გვშევ მზე სიმართლისა, მხსნელი სოფლისა, თანაარსებით სწორი მამისა, რომლისა მიმართ ვხმობთ: ალილუია.

## იკოსი 9

გბოვა შენ ვარდი შორის ეკალთა მეუფემან ყოვლად უბიწო, და აღგვავსო ჩუენ სუნნელებითა შენითა შუენიერთა, მადლთა მიერ სულიერთა; მადლი აღყუავილნა, და სჯული დადუმნა, შენ მიერ ღმრთისმშობელო რამეთუ ჰშევ მომცემელი მადლისა, და ხელმწიფებით მფლობელი, ძუელისა და ახლისა სჯულისა, რომლისა სიკეთისთვსცა გიგალობთ ესევითართა:

გიხაროდენ, დაუთესველად იფქლისა საღმრთოღსა გამომზრდელო;  
გიხაროდენ, ტევნისა მის მწიფისა, უმუშაკოდ ნაყოფად საშოსა შინა შენსა მქონებელო;

გიხაროდენ, მსგავსად ზეთისხილისა ნაყოფიერისა მშუდობისა დიდისა და მდიდრისა წყალობისა აღმომაცენებელო;

გიხაროდენ, ტევნითა მით მწიფითა უკვდავებისათა კიდეთა სოფლისათა დამატებელო;

გიხაროდენ, ასულო ადამისო, აღმხოცელო ეშმაკთაო;

გიხაროდენ, ვარდო დაუჭნობელო, გამომღებელო საღმრთოღსა ხილისაო;

გიხაროდენ, ტაძარო სიწმიდისაო, აღდგომაო დაცემულთაო;

გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 10

ვითარცა ვარდი წმიდა ღელეთა, და ვითარცა შროშანი სუნნელი, გიცნა შენ განმაცხოვრებელმან ჩუენმან უფალმან, და ეტრფიალა სიკეთესა შენსა წმიდაო, ხოლო სათნოიყოფს განხორციელებასა სისხლთაგან შენთა, რათა განსდევნოს ძნელ-სუნობა საცთურისა, რომლისაგანცა დახსნილნი ვგალობთ: ალილუია.

## იკოსი 10

თხემისა ადგილი სამოთხედ გამოსჩინდა, რომელსა ზედა მხოლო აღემართა ძელი ჯუარისა ნაძვსაგან და ფიჭვისა და საროსა, და მეყუსეულად გამოიღო მან ქრისტე ტევანი ცხოვრებისა, სიხარულად ჩუენდა საუკუნოდ, აწ მმადლობელთა ამათ ვაჩვენოთ სარწმუნოებად კეთილი ნაძვისა წილ, სასოებად საროდსა წილ და სიყუარული უზაკველი ფიჭვსა წილ, ხოლო დედასა მისსა, გლოვით მღალადებელსა ქუეშე ჯუარისა, შევასხმიდეთ ესევითარად:

გიხაროდენ, დაკორდებულისა და განხრწნილისა სულისა ჩემისა ორნატისა ცუარითა წყალობათა შენთათა აღმაყუავილებელო;

გიხაროდენ, ძელსა ზედა დამოკიდებულისა ძისა შენისა მიერ სიმთრუალისა ვნებათა ჩუენთასა განმდევნელო;

გიხაროდენ, დაუთესველო ყანაო, რომელმან ეგე აღმოაცენე მზრდელი ყოველთა;

გიხაროდენ, რამეთუ ჩუენ ღვინოსა საღმრთოსა აღმოვივსებთ გუერდისაგან ცხოველს-მყოფელისა ქრისტეს ძისა შენისასა;



გიხაროდენ, მშობელო მეუფისაო, სოფლისა ცხოვრებაო;  
გიხაროდენ, მზისა საცნაურისა ეტლო შუენიერო;  
გიხაროდენ, საღმრთოთა მირონითა, ადამიანთა  
განმასუნნელბელო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 11

ვითარცა მაყუალმან ცეცხლ-შეუხებელმან სძალო წმიდაო დასწუნ გულის-  
სიტყუათა ჩემთა შეგინებულთა ეკალთა ნივთნი, და სული და გონება  
განანათლე, და ვნებათა მათ ჩემთა სიღრმე, რათა უგალობდე ღმერთსა შენგან  
ხორც-შესხმულსა: ალილუია.

## იკოსი 11

ცხად იქმნა მაყუალი შეუწველი, შემწყნარებელი აღისა, ყოვლად  
საგალობელო შენ ზედა, საიდუმლო ყოვლად დიდებული, რამეთუ შემდგომად  
შობისა იქმნები წმიდა და ქალწული მარად; ანგელოსისა ხმითა პოხიერო  
ვითარცა ვენახო, განემზადე აღმოცენებად მწიფისა და უხრწნელისა ტევანისა  
ტკბილისა, რომლისაგანცა გვწდია ღვინოდ საღმრთო, მახარებელი გულთა,  
სურვილითა მგალობელთა შენთა, ღმრთისა დედაო:

გიხაროდენ, ვენახო სულიერო, რამეთუ შენგან შობილმან ღმერთმან  
გვიწდია ჩუენ ღვინოდ შენდობისა;  
გიხაროდენ, წყალობათა შენთა მიერ ცისკიდეთა განმანათლებელო;  
გიხაროდენ, სასოო სულთა ჩუენტაო;  
გიხაროდენ, სინას აღგზნებულისა მაყვალისა მიერ წინათვე  
გამოსახულო;  
გიხაროდენ, რამეთუ ქალწულმან ჰშევ და ქალწულადვე ჰგიე;  
გიხაროდენ, რომელმან მორჩად აღმოგვიცენე სიტყუად თანაარსი  
მამისა;  
გიხაროდენ, დაუსხმელისა ვენახისა გამომღებელო;  
გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## იკოსი 12

შენ უწყი ზესთა სახიერო დედუფალო, რამეთუ სიჩხოდთგან ფრჩხილთა ჩემთა  
და დედობრივთა წიაღთა შენდა შევვარდი და შენ შეგვევდრე. შენ უწყი  
დედუფალო ჩემო, ღმრთისმშობელო, რამეთუ მფრინველი ვარ უცხო და არა  
მაქუს ადგილი სადა თავი მივიდრიკო, გარნა შენდამი დედისა ქრისტეს  
ღმრთისა ჩემისასა, რომლისთვსცა ვხმობთ შენდამო:

გიხაროდენ, ხეო ცნობადისაო, ედემს შინა დანერგულო, საკრველითა  
სიყუარულისათა ხესა ზედა ცხორებისასა შეკრულო განუხსნელად;  
გიხაროდენ, შენ გრაგნილო, რომელსა დაეწერა სიტყუა მამისა  
თითითა მამისათა;  
გიხაროდენ, განუხრწნელისა მირონისა წყაროო;  
გიხაროდენ, ვენახო აღმომაცენებელო მადლისაო და ყუავილისა  
შენისაო, ნაყოფისა დიდებისა და სიმდიდრისაო;  
გიხაროდენ, რომლისაგან ბოროტეულნი ვერას იმცურევენ;  
გიხაროდენ, კეთილთათვის ვენახო მსხმოიარეო კიდეთა სახლისა  
უფლისათაო;

გიხაროდენ, რომელმან ვითარცა ბელეკონმა განირთხე შტონი შენნი და შტონი შენნი დიდებისა და მადლისანი; გიხაროდენ, სიძისაგან შეყუარებულო ვენახო საყუარელო.

## კონდაკი 12

ვითარცა უმუშაკომან ვენახმან ქალწულო შუენიერი ტევანი აღმოგვიცენე, და აღმოვივსებთ ჩუენ ღვინოსა ცხოვრებისასა, და ყოველნი ვიშუებთ სულით და ხორციით, რამეთუ შენ ხარ მიზეზი ამისი, და მარადის კეთილად გნატრით, და ანგელოსთა თანა უგალობთ ღმერთსა შენგან განხორციელებულსა: ალილუია.

## კონდაკი 13

დედაო დაუვალისა მზისაო, გიძღვნით ნაყოფსა ბაგეთასა და სურვილსა სულისასა, რომელმან ავენახენ, მწუერვალნი შენნი სათნოებათა შენთა მიერ და მოისთულე ტევანი სავსებისა, გვასუ მისგან ღვინოდ ღმერთმყოფელი, მგალობელთა: ალილუია.

(ესე ითქმის სამგზის და მერმე „მთავარი ანგელოსთად გაბრიელ“ და „შენ ხარ ვენახი ახლადაღყუავებული“)

## ლოცვად ესე ღმობიერად თქვი:

ჰოდ, ყოვლადწმიდაო დედუფალო ღვთისმშობელო, აღმომავალო უდაბნოდ, ვითარცა რტოდ, კუამლო საკუმევილისა, მურო და გუნდრუკო ყოველთაგან მტუერთა მენელსაცხებლეთასა, დედაო ღმრთისა მადლისაო, ძალო ჩუენო და შემწეო ჩუენო და მისალტოლველო ჩუენო დღეთა შინა ძვირთა ჩუენთასა შენდამო, მოიხილე ჩუენ ზედა მოწყალითა თუალითა, რამეთუ ყოველსა ქუეყანასა ზედა ამპარტავნობა გაიფურჩქნა, აღიმართა ძალადობა ბოროტეული კუერთხისა. მცირითგან მათით და ვიდრე დიდადმდე, ყოველთა, ადასრულნეს უსჯულონი, ყოველთა ქმნეს ტყუილი, იმრუშებდეს და სახლებსა შინა მეძავთასა ისადგურეს; ვახში ვახშა ზედა, ზაკუად ზაკუასა ზედა შესძინეს, მიემსგავსნენ ბოროტეულნი ზღუასა მას აღბორგებულსა, ზღუასა მას დაუწყნარებელსა და ტალღები მისი ისვრიდიან ლაფსა და ტალახსა. გაუდაბურდა გზები, დარღვეულია აღთქმა, ადამიანი არად ჩაგდებულნი, გლოვობს, მწუხარებს მიწა. აჰა, ხალხების მომავალი: უდაბნო, ხრიოკი და ტრამალი. დანით გუესმა ხმად სიმახვილისად ცხენთა მისთასა, მოსვლად არს ანტიქრისტე, ხმისაგან ხვივილისა ცხენოსნობასა ცხენთა მისთასა. შეიძრა ყოველი ქუეყანა, და მოვიდეს და შეჭამოს ქუეყანა და სავსება მისი. ქალაქი და შინა დამკვიდრებულნი მის შორის. მორწყულ-ყვნეს ძეთა კაცთასა ენად მათი, ვითარცა მშვილდი, ტყუილი და არასარწმუნოებად განძლიერდა ქუეყანასა, რამეთუ ბოროტთაგან ბოროტთა მომართ გამოვიდეს და არა სცნეს ღმერთი ჭეშმარიტი.

მოველოდით ნათელსა და აჰა, წყუდიადი! განცისკროვნებასა – და ბნელსა შინა ვალთ!

ვინ მოსცეს თავთა ჩუენთა წყალი და თუალთა ჩუენთა წყაროდ ცრემლთა? ვინ გარდამოადინოს გარდამოსაქანელნი წყალთანი თუალთა ჩუენთა?

სახელსა შენსა, დედუფალო, ვხედავთ, დღეთა ჭირისა ჩუენისათა, მღვიმისაგან უქუეშისა; ჩუენ მიძინავს, გარნა გული ჩუენი მღვიძარე არს. თაფლი დამოსწვეთს ბაგეთა შენთა, - ცად აღმავალნი ლოცვანი შენნი, მტილო დახშულო და წყაროო დაბეჭდულო; გვიწყაროე ბაგეთაგან შენთა წყალობანი



უხუებით და მიპყრენინ ჩუენ მელნი მცირენი განმრყუნელნი ვენახთანი, რომელ დაასხა მარჯუენემან ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისამან, - სამწყსოდ ქრისტესი. დაარღვიენ ლოცვათა შენტა მიერ მისაფუძვლადმდე ბჭენი ჯოჯოხეთისანი, რომელნი გარე-მოგვადგან ჩუენ და შემაიწრებენ.

აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩუენო, შუენიერო ჩუენო, მოვედ თავით შენით. მასმინე ჩუენ ხმაღ შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმაღ შენი და პირი შენი შუენიერ, რამეთუ ჩუენ ერნი შენი ვართ და სახელი შენგან ხორცშესხმულისა წოდებულ არს ჩუენ ზედა.

მოვედ, რამეთუ მოეახლნეს დღენი და სიტყუად ყოვლისა ხილვისად.

მოვედ, ვინათგან მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყვარული. ამინ.

*აკათისტო შეადგინა  
დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა*

## **აკათისტოში გამოყენებულ ძველ ქართულ სიტყვათა განმარტებანი**

**ყურძენი** - ძველქართულში ვენახსაც ნიშნავს

**დაწიდვნა** - ვაზის გადაწვენით გამრავლება

**მასკნე** - ვაზის ძაფი

**ემუ** - ტახი

**ბრანგვი** - დათვი

**ბაბილო** - მაღალი ვენახი, ხეზე ვენახი

**კუფხალი** - ტევანი (მცირე)

**კაწახი** - უმწიფარი, მკვახე ზეთისხილი

**ბელეკონი** - ღვინოში სანუკვარი, ღვინოდ საჭმელი მაზაო